**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი**

06 თებერვალი 2024

N 2-73

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**შპს „კავ-ცემენტზე“ გაცემული ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ფ/პ გიორგი ტყეშელაშვილზე გადაცემის შესახებ**

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის (№1445) მე-2 მუხლის მე-2 ნაწილისა და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 26 იანვრის N 21/552 წერილის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შპს „კავ-ცემენტზე“ (ს/ნ: 416294290) ცემენტის წარმოებაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 29 იანვრის №2-141 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს ფ/პ გიორგი ტყეშელაშვილს (პ/ნ: 01024001934).

2. ფ/პ გიორგი ტყეშელაშვილმა უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 29 იანვრის №2-141 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა.

3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით.

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს: სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრ, სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, შპს „კავ-ცემენტს“ და ფ/პ გიორგი ტყეშელაშვილს.

5. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კავ-ცემენტისა“ და ფ/პ გიორგი ტყეშელაშვილის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

6. ამ ბრძანების გამოცემიდან 2 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში

ოთარ შამუგია

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი